



საქართველოს მთავრობის მოხსენება
2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების
მიმდინარეობის შესახებ

თბილისი

2015 წელი

მიმდინარე ძირითადი ეკონომიკური ტენდენციები

მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა

წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2015 წლის პირველი შვიდი თვის მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან 2.8 პროცენტი შეადგინა. აქედან, პირველი კვარტალის საშუალო რეალურმა ზრდამ 3.2 პროცენტი, ხოლო მეორე კვარტალში 2.5 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის ეკონომიკური აქტივობის წინასწარი მონაცემებით ეკონომიკურ ზრდაში წარმართველი როლი მშენებლობას, საფინანსო საქმიანობას და სასტუმროებს და რესტორნებს უჭირავთ. ეკონომიკური ზრდის დარგობრივი სტრუქტურაში ყველაზე სწრაფად გაიზარდა მშენებლობა 15.7 პროცენტით, საფინანსო საქმიანობა 9.7 პროცენტით, სასტუმროები და რესტორნები 7.9 პროცენტით, ტრანსპორტი 6.8 პროცენტით.

კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში

2015 წლის პირველ ნახევარში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა გაიზარდა 13.3 პროცენტით, ხოლო პროდუქციის გამოშვება 17.5 პროცენტით. გაზრდილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 60 ათასი ადამიანით, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 4.8 პროცენტით.

ფასები

2015 წლის აგვისტოში 2014 წლის აგვისტოსთან შედარებით ინფლაციის დონემ 5.4 პროცენტი შეადგინა. ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის სამმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა. სამომხმარებლო კალათის ყველაზე მსხვილ სასაქონლო ჯგუფში - ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო ფასების ზრდამ 13.1 პროცენტი, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელები ფასების ზრდამ 6.3 პროცენტი, ხოლო ჯანმრთელობის დაცვამ 9.1 პროცენტით გაზარდა.

2015 წლის იანვარ-აგვისტოში ინფლაციამ 3.3 პროცენტი შეადგინა. საქართველოს მიზნობრივი ინფლაცია 2015 წლიდან 5 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებლის მიღწევას ეროვნული ბანკი წლის ბოლოსთვის ვარაუდობს.

საგარეო სექტორი

2015 წლის იანვარ-აგვისტოში საგარეო სავაჭრო ბრუნვა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13.7 პროცენტით შემცირდა და 6 395.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან, ექსპორტი 1 458.6 მლნ დოლარი იყო, ხოლო იმპორტი 4 936.5 მლნ აშშ დოლარი, რაც შესაბამისად 23.8 პროცენტით და 10 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ექსპორტზე ძირითადად შემცირება დსთ-ის ქვეყნებზე მოდის (45 პროცენტი), მათ შორის აზერბაიჯანში 55%, რუსეთში 47%, სომხეთში 36% და უკრაინაში 65%. ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი 1.3 პროცენტით გაიზარდა. იმპორტი შემცირდა 10 პროცენტით (562 მლნ აშშ დოლარი).

| | 2014 | 2015 | 2014 | 2015 | 2014 | 2015 |
|----------|------------|------------|-------------|-------------|----------|----------|
| | I კვარტალი | I კვარტალი | II კვარტალი | II კვარტალი | 8 თვე | 8 თვე |
| ექსპორტი | 695.8 | 502.7 | 723.5 | 578.9 | 1,913.2 | 1,458.6 |
| იმპორტი | 1,834.6 | 1,788.4 | 2,194.7 | 1,860.9 | 5,498.3 | 4,936.5 |
| ბალანსი | -1,138.8 | -1,285.7 | -1,471.2 | -1,282.0 | -3,585.1 | -3,477.9 |

2015 წლის პირველ კვარტალში სავაჭრო ბალანსი წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით გაურესდა 146.9 მლნ აშშ დოლარით, მე-2 კვარტალში დეფიციტი შემცირდა 190.0 მლნ აშშ დოლარამდე 2014 წლის იგივე პერიოდთან შედარებით, ხოლო 2015 წლის 8 თვეში სავაჭრო დეფიციტი 2014 წლის იგივე პერიოდთან შედარებით შემცირებულია 107 მლნ ლარით.

**ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების ანალიზი
2015 წელი იანვარ-აგვისტო**

2015 წლის იანვარ-აგვისტოში შემოსავლების სახით ნაერთ ბიუჯეტში მოზილიზებულია 5 676.6 მლნ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 65.4 პროცენტს შეადგენს, ხოლო გადასახადების ფაქტიური მაჩვენებელი წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 65.9 პროცენტს შეადგენს.

**ბიუჯეტის შემოსავლების 2015 წლის
იანვარ-აგვისტოს შესრულება**


მლნ ლარი

| | 2015 გეგმა | 2015 8 თვის ფაქტი | შესრულება % |
|--------------------|----------------|----------------------|----------------|
| შემოსავლები | 8,685.0 | 5,698.2 | 65.6% |
| გადასახადები | 7,820.0 | 5,151.3 | 65.9% |
| გრანტები | 285.0 | 145.5 | 51.1% |
| სხვა შემოსავლები | 580.0 | 401.4 | 69.2% |

მიმდინარე საგადასახადო შემოსავლების ანალიზი

2015 წლის იანვარ-აგვისტოში ნაერთ ბიუჯეტში გადასახადების სახით მობილიზებულია 5 151.3 მლნ ლარი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 11.5 პროცენტით (529.9 მლნ ლარი) მეტია.

2015-2014 წწ იანვარ-აგვისტოს საგადასახადო შემოსავლების ფაქტი
(მლნ ლარი)



საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 1 389.0 მლნ ლარი, რაც 15.5 პროცენტით (186.5 მლნ ლარი) აჭარბებს გასული წლის მაჩვენებელს.

მოგების გადასახადიდან მობილიზებულია 719.6 მლნ ლარი, რაც 32.2 პროცენტით (175.2 მლნ ლარით) მეტია გასული წლის მაჩვენებელზე.

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მობილიზებულია 2 264.8 მლნ ლარი, რაც 6.9 პროცენტით (146.4 მლნ ლარით) მეტია გასული წლის მაჩვენებელზე.

აქციზის გადასახადიდან მობილიზებულია 539.6 მლნ ლარი, რაც 4.5 პროცენტით (23.1 მლნ ლარი) მეტია გასული წლის მაჩვენებელზე, მათ შორის აქციზის გადასახადი ადგილობრივი პროდუქციიდან გაზრდილია 2.3 პროცენტით, ხოლო იმპორტირებული პროდუქციიდან - 5.3 პროცენტით.

იმპორტის გადასახადიდან მობილიზებულია 45.8 მლნ ლარი, რაც 29.3 პროცენტით (19.0 მლნ ლარი) ნაკლებია გასული წლის მაჩვენებელზე.


ქონების გადასახადიდან მობილიზებულია 176.9 მლნ ლარი, რაც 10.7 პროცენტით (17.0 მლნ ლარი) მეტია გასული წლის მაჩვენებელზე.

სხვა გადასახადიდან მობილიზებულია 15.5 მლნ ლარი.

გადასახადების დინამიკა

ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა,
იანვარ-აგვისტო 2012-2015წწ.

მლნ ლარი



ინფორმაცია საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 8 თვის შესრულების შესახებ

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7 950.9მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 5 204.7მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 65.5%.

2015 წლის 8 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

მლნ ლარი

| დასახელება | სახელმწიფო ბიუჯეტი | | | |
|--------------------|--------------------|----------------|-----------------|--------------|
| | 2015 წლის გეგმა | 8 თვის ფაქტი | +/- | % |
| შემოსავლები | 7 950,9 | 5 204,7 | -2 746,2 | 65.5% |
| გადასახადები | 7 400,0 | 4 867,4 | -2 532,6 | 65.8% |
| გრანტები | 255,9 | 144,9 | -111,0 | 56.6% |
| სხვა შემოსავლები | 295,0 | 192,3 | -102,7 | 65.2% |

გადასახადების 2015 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7 400.0 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 4 867.4 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 65.8%.

სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 1 282.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 950.0 მლნ ლარი) 65.7%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 719.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (951.0 მლნ ლარი) 75.7%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 2 264.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 506.0 მლნ ლარი) 64.6%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 539.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (900.0 მლნ ლარი) 60.0%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 45.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (68.0 მლნ ლარი) 67.4%-ია.
- სხვა გადასახადის სახით მობილიზებულია 15.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (25.0 მლნ ლარი) 62.1%-ია.

2015 წლის 8 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

მლნ ლარი

| დასახელება | სახელმწიფო ბიუჯეტი | | | |
|-----------------------------------|--------------------|----------------|-----------------|--------------|
| | 2015 წლის გეგმა | 8 თვის ფაქტი | +/- | % |
| გადასახადები | 7 400,0 | 4 867,4 | -2 532,6 | 65,8% |
| საშემოსავლო გადასახადი | 1 950,0 | 1 282,1 | -667,9 | 65,7% |
| მოგების გადასახადი | 951,0 | 719,6 | -231,4 | 75,7% |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 3 506,0 | 2 264,8 | -1 241,2 | 64,6% |
| აქციზი | 900,0 | 539,6 | -360,4 | 60,0% |
| იმპორტის გადასახადი | 68,0 | 45,8 | -22,2 | 67,4% |
| სხვა გადასახადი | 25,0 | 15,5 | -9,5 | 62,1% |

გრანტების 2015 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 256.0 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 145.0 მლნ ლარი (მ.შ. გათვალისწინებულია წლის განმავლობაში მირებული მიზნობრივი გრანტები), ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 56.6%.

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 295.0 მლნ ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 192.3 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 65.2%.

სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

მლნ ლარი

| დასახელება | სახელმწიფო ბიუჯეტი | | | |
|---|--------------------|--------------|---------------|---------------|
| | 2015 წლის გეგმა | 8 თვის ფაქტი | +/- | % |
| სხვა შემოსავლები | 295,0 | 192,3 | -102,7 | 65.2% |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 58,5 | 46,5 | -12,0 | 79.4% |
| პროცენტები | 42,0 | 35,0 | -7,0 | 83.3% |
| დივიდენდები | 5,0 | 0,2 | -4,8 | 3.9% |
| რენტა | 11,5 | 11,3 | -0,2 | 98.3% |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 73,2 | 33,4 | -39,8 | 45.6% |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახადები | 70,8 | 30,0 | -40,8 | 42.4% |
| სალიცენზიო მოსარებლები | 1,5 | 0,4 | -1,1 | 24.4% |
| სანებართვო მოსარებლები | 50,0 | 16,0 | -34,0 | 32.0% |
| სარეგისტრაციო მასაკრებლები | 1,2 | 1,0 | -0,2 | 86.1% |
| სახელმწიფო ბაჟი | 15,0 | 10,1 | -4,9 | 67.3% |
| საკონსულო მოსაკრებელი | 1,8 | 1,7 | -0,1 | 95.8% |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 1,0 | 0,5 | -0,5 | 53.0% |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | 0,3 | 0,3 | 0,0 | 91.3% |
| არასაბაზრო წესით გაყვნილი საქონელი და მომსახურება | 2,4 | 3,4 | 1,0 | 143.3% |
| შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან | 0,2 | 0,1 | 0,0 | 77.0% |
| შემოსავლები მომსახურების გაწვიდან | 2,2 | 3,2 | 1,0 | 144.7% |
| სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან | 0,0 | 0,1 | 0,1 | |
| სანქციები (ჯარიმები და საურავები) | 75,0 | 41,6 | -33,4 | 55.4% |
| ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა | 2,3 | 15,7 | 13,4 | 684.3% |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 86,1 | 55,2 | -30,8 | 64.2% |

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 168.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (235.0 მლნ ლარი) 71.6%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 43.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (90.0 მლნ ლარი) 48.5%-ია.

ვალდებულებების ზრდის შედეგად მობილიზებულმა თანხამ შეადგინა 892.0 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 54.9%-ს შეადგენს, მათ შორის სახელმწიფო საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებული სახსრები შეადგენს 311.0 მლნ ლარს, ხოლო საგარეო წყაროებიდან მიღებული სახსრები შეადგენს 581.0 მლნ ლარს.

2015 წლის 8 თვის განმავლობაში „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება შეტანილი იქნა ერთხელ, საბიუჯეტო დეფიციტის კონტროლის და მისი დაბალი მაჩვენებლის შენარჩუნების მიზნით და ასევე, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ საჭირო ფინანსური რესურსის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინების აუცილებლობიდან გამომდინარე.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება


„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის *ასიგნებები* განისაზღვრა 9 575.0 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 6 015.4 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 62.8%-ია. მათ შორის:

2015 წლის პირველი სექტემბრის მდგომარეობით *ხარჯების* დაზუსტებული გეგმა სახელმწიფო ბიუჯეტით განისაზღვრა 7 990.9 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 5 140.0 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის მაჩვენებლის 64.3%-ია.

საანგარიშო პერიოდში *ხარჯების შესრულება ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით* განისაზღვრა:

- ✓ „შრომის ანაზღაურების“ მუხლი - 891.5 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (1 378.9 მლნ ლარი) 64.7%-ს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული „ხარჯების“ 17.3%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 14.8%-ს შეადგენს.
- ✓ „საქონელი და მომსახურების“ მუხლი - 571.9 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმის (928.9 მლნ ლარი) 61.6%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 9.5%-ს შეადგენს.
- ✓ „პროცენტის“ მუხლი - 217.8 მლნ ლარით (წლიური გეგმის 377.1 მლნ ლარის 57.8%-ია), რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 3.6%-ს შეადგენს.
- ✓ „სუბსიდიების“ მუხლი - 156.8 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმის (239.3 მლნ ლარი) 65.5%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 2.6%-ს შეადგენს.
- ✓ „გრანტების“ მუხლი - 782.4 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (1 260.0 მლნ ლარი) 62.1%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 13.0%-ს შეადგენს.
- ✓ „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი - 1 819.2 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური პარამეტრის (2 691.9 მლნ ლარი) 67.6%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 30.2%-ს შეადგენს.
- ✓ „სხვა ხარჯების“ მუხლი - 700.4 მლნ ლარის ოდენობით, რაც წლიური გეგმის (1 114.9 მლნ ლარი) 62.8%-ს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული „ხარჯების“ 13.6%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ასიგნებების 11.6%-ს შეადგენს.

**2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის რვა თვის ხარჯების
სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (საკასო შესრულება)**



არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 787.0 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 336.2 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის მაჩვენებლის 42.7%-ია.


ფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 349.0 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 233.8 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის მაჩვენებლის 67.0%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 448.2 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 305.4 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის მაჩვენებლის 68.3%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

| | 2015 წლის დაზუსტებული გეგმა (01.09.2015 მდგომარეობით) | 8 თვის საკასო ხარჯი | სხვაობა (წლიური დაზუსტებული გეგმა-საკასო ხარჯი) | მლნ ლარი ფაქტი/წლიური გეგმა |
|------------------------------------|---|---------------------|---|--------------------------------|
| გადასახდელები | 9 575,0 | 6 015,4 | 3 559,6 | 62.8% |
| ხარჯები | 7 990,9 | 5 140,0 | 2 850,9 | 64.3% |
| შრომის ანაზღაურება | 1 378,9 | 891,5 | 487,4 | 64.7% |
| საქონელი და მომსახურება | 928,9 | 571,9 | 357,0 | 61.6% |
| პროცენტი | 377,1 | 217,8 | 159,3 | 57.8% |
| სუბსიდიები | 239,3 | 156,8 | 82,5 | 65.5% |
| გრანტები | 1 260,0 | 782,4 | 477,6 | 62.1% |
| სოციალური უზრუნველყოფა | 2 691,9 | 1 819,2 | 872,7 | 67.6% |
| სხვა ხარჯები | 1 114,9 | 700,4 | 414,5 | 62.8% |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 787,0 | 336,2 | 450,8 | 42.7% |
| ფინანსური აქტივების ზრდა | 349,0 | 233,8 | 115,1 | 67.0% |
| ვალდებულებების კლება | 448,2 | 305,4 | 142,8 | 68.1% |

2012-2015 წლების 8 თვის გადასახდელების შედარება




2015 წლის 8 თვის განმავლობაში გაწეული გადასახდელები კი წლიური გეგმის 63%-ს შეადგენს, რისი გათვალისწინებითაც მოსალოდნელია, რომ გადასახდელების დაგეგმილი პარამეტრების შეუფერხებლად შესრულდება.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში, ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 271.9 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (2 072.3 მლნ ლარი) 61.4%-ია. აღნიშნული თანხიდან 763.0 მლნ ლარი წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისათვის გადაცემულ ტრანსფერებს.
- ✓ თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 401.5 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (645.8 მლნ ლარი) 62.2%-ია;
- ✓ საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 601.1 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (948.1 მლნ ლარი) 63.4-ია%;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობის ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 529,2 მლნ ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებლის (1 030,5 მლნ ლარი) 51.4%.
- ✓ გარემოს დაცვის ხაზით დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულია 45.4 მლნ ლარის გამოყოფა, ხოლო 8 თვეში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 24.1 მლნ ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 53.2%;
- ✓ საბინაო-კომუნალური მეურნეობის დაფინანსებაზე დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულია 54.0 მლნ ლარის გამოყოფა, ხოლო 8 თვეში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 21.5 მლნ ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 39.9%;

- ✓ **ჯანმრთელობის დაცვის ხაზით** დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 546.4 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (726.4 მლნ ლარი) 75.2-ია%;
- ✓ **საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში** დაფინანსდა 148.8 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის - 211.8 მლნ ლარის, 70.2%-ს შეადგენს;
- ✓ **განათლების ხაზით** დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 508.6 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (854.6 მლნ ლარი) 59.5-ია%;
- ✓ **სოციალური დაცვის ხაზით** დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 1 423.2 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (2 189.0 მლნ ლარი) 65.0-ია%;



წლიური საბიუჯეტო კანონის დაზუსტებული გეგმით სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის მიზნით განსაზღვრულია 598.4 მლნ ლარი, ხოლო რვა თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 511.3 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის 8 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა 378.8 მლნ ლარი. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 100.2 მლნ ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის მიიმართა 278.6 მლნ ლარი.
- ✓ საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის 8 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა 132.5 მლნ ლარი. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 117.5 მლნ ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის მიიმართა 15.0 მლნ ლარი.

2015 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის გადარიცხულმა ტრანსფერებმა შეადგინა 763.0 მლნ ლარი. აქედან, გათანაბრებითი ტრანსფერი – 559.2 მლნ ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 7.7 მლნ ლარი, ხოლო სპეციალური ტრანსფერი – 196.1 მლნ ლარი (მათ შორის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის სპეციალური ტრანსფერის სახით – 12.2 მლნ ლარი).

2015 წლის 8 თვის განმავლობაში:

- ✓ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 61 175.2 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 54 027.3 ათასი ლარი;
- ✓ საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 2 533.8 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 1 385.4 ათასი ლარი;
- ✓ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნების მოცულობამ შეადგინა 339 552.2 ათასი ლარი, ხოლო სახაზინო სამსახურის მიერ გადარიცხულმა თანხებმა - 170 455.8 ათასი ლარი.
- ✓ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დასაფინანსებლად გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 50 000.0 ათასი ლარი, 1 სექტემბრის მდგომარეობით გადარიცხულია 17 961.5 ათასი ლარი.
- ✓ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მიიმართა 12 077.8 ათასი ლარი. ამასთან, შესაბამისი სააღსრულებო ბიუროების საინკასო დავალებებით, სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვაზე სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში, იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 2 489.6 ათასი ლარი, მათ შორის ფიზიკური პირების სასარგებლოდ 1 616.1 ათასი ლარი, ხოლო იურიდიული პირების სასარგებლოდ – 873.5 ათასი ლარი.
- ✓ 2015 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 727 595.1 ათასი ლარი, მათ შორის 172 835.1 ათასი ლარი („საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის N176-ე განკარგულების თანახმად) და 99 996.0 ათასი ლარი („საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის N29 განკარგულების თანახმად), სულ 272 831.1 ათასი ლარი, სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

მხარჯავი დაწესებულებების 2015 წლის 8 თვის შესრულების მაჩვენებლები

| კოდი | დასახელება | ათასი ლარი | | |
|-------|---|---|--------------|-------|
| | | 2015 წლის დაზუსტებული გეგმა (01.09.2015 მდგომარეობით) | 8 თვის ფაქტი | % |
| 01 00 | საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები | 53,531.7 | 32,046.9 | 59.9% |
| 02 00 | საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია | 11,186.4 | 6,301.5 | 56.3% |
| 03 00 | საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი | 2,000.0 | 1,042.3 | 52.1% |
| 04 00 | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია | 21,821.7 | 13,574.5 | 62.2% |
| 05 00 | სახელმწიფო აუდიტის სამსახური | 12,965.2 | 7,867.6 | 60.7% |
| 06 00 | საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია | 22,263.0 | 14,259.2 | 64.0% |
| 07 00 | საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო | 3,390.0 | 2,062.4 | 60.8% |
| 08 00 | საქართველოს უზენაესი სასამართლო | 6,615.0 | 4,087.8 | 61.8% |
| 09 00 | საერთო სასამართლოები | 50,000.0 | 29,050.8 | 58.1% |

| კოდი | დასახელება | 2015 წლის დაზუსტებული გეგმა (01.09.2015 მდგომარეობით) | 8 თვის ფაქტი | % |
|-------|--|---|--------------|-------|
| 10 00 | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო | 2,700.0 | 1,441.7 | 53.4% |
| 11 00 | სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში | 900.0 | 474.2 | 52.7% |
| 12 00 | სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში | 700.0 | 341.4 | 48.8% |
| 13 00 | სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში | 800.0 | 491.5 | 61.4% |
| 14 00 | სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში | 800.0 | 370.4 | 46.3% |
| 15 00 | სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში | 650.0 | 370.1 | 56.9% |
| 16 00 | სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში | 645.0 | 363.4 | 56.3% |
| 17 00 | სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში | 650.0 | 338.5 | 52.1% |
| 18 00 | სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში | 1,000.0 | 527.7 | 52.8% |
| 19 00 | სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში | 650.0 | 329.6 | 50.7% |
| 20 00 | ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი | 3,969.2 | 2,621.5 | 66.0% |
| 21 00 | დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი | 1,400.0 | 905.4 | 64.7% |
| 22 00 | შერეგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი | 1,686.0 | 1,135.8 | 67.4% |
| 23 00 | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | 105,853.5 | 76,877.6 | 72.6% |
| 24 00 | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | 87,343.1 | 53,576.0 | 61.3% |
| 25 00 | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო | 960,546.2 | 491,038.4 | 51.1% |
| 26 00 | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო | 79,873.8 | 54,253.6 | 67.9% |
| 27 00 | საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 150,500.0 | 93,818.8 | 62.3% |
| 28 00 | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | 89,765.0 | 59,072.2 | 65.8% |
| 29 00 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | 671,331.9 | 417,636.0 | 62.2% |
| 30 00 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | 591,650.0 | 396,029.8 | 66.9% |
| 31 00 | საქართველოს დაზვერვის სამსახური | 12,400.0 | 7,284.4 | 58.7% |
| 32 00 | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | 842,631.0 | 499,558.6 | 59.3% |
| 33 00 | საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო | 99,769.9 | 63,455.0 | 63.6% |
| 34 00 | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო | 72,025.8 | 37,430.6 | 52.0% |
| 35 00 | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | 2,785,000.0 | 1,881,669.0 | 67.6% |
| 36 00 | საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო | 114,497.0 | 84,756.3 | 74.0% |
| 37 00 | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 267,450.0 | 178,993.3 | 66.9% |
| 38 00 | საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო | 36,753.1 | 21,192.9 | 57.7% |
| 39 00 | საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო | 79,939.0 | 68,609.3 | 85.8% |
| 40 00 | საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური | 54,050.0 | 32,713.7 | 60.5% |
| 41 00 | საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი | 3,950.0 | 3,069.3 | 77.7% |
| 42 00 | სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი | 40,978.6 | 28,317.6 | 69.1% |
| 43 00 | სსიპ – კონკურენციის სააგენტო | 1,900.0 | 609.4 | 32.1% |

| კოდი | დასახელება | 2015 წლის დაზუსტებული გეგმა (01.09.2015 მდგომარეობით) | 8 თვის ფაქტი | % |
|-------|---|---|--------------|-------|
| 44 00 | სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია | 3,700.0 | 2,632.8 | 71.2% |
| 45 00 | საქართველოს საპატრიარქო | 25,150.0 | 18,961.6 | 75.4% |
| 46 00 | სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო | 3,500.0 | 2,841.9 | 81.2% |
| 47 00 | სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი | 8,900.0 | 5,846.6 | 65.7% |
| 48 00 | სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური | 1,300.0 | 780.0 | 60.0% |
| 49 00 | სსიპ – საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო | 2,300.0 | 1,019.7 | 44.3% |
| 50 00 | სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო | 1,165.0 | 659.6 | 56.6% |
| 51 00 | პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი | 2,205.0 | 1,454.2 | 66.0% |
| 52 00 | საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა | 1,000.0 | 998.0 | 99.8% |
| 53 00 | სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახური | 4,500.0 | 2,559.2 | 56.9% |
| 54 00 | სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური | 7,450.0 | 2,547.7 | 34.2% |
| 55 00 | სსიპ – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო | 4,200.0 | 2,688.3 | 64.0% |
| 56 00 | სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური | 2,150.0 | 633.1 | 29.4% |
| 57 00 | ა(ა)იპ – საქართველოს სოლიდარობის ფონდი | 260.0 | 128.3 | 49.3% |
| 58 00 | საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები | 2,110,020.7 | 1,292,297.5 | 61.2% |
| 59 00 | საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი | 6,900.0 | 1,967.2 | 28.5% |
| 60 00 | სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური | 36,000.0 | 5,628.4 | 15.6% |
| 61 00 | სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრი | 5,768.2 | 1,760.7 | 30.5% |